საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით
კომისიის სხდომის

ოქმი № 01

ქ. თბილისი „17" „02" 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ს. ლონდარიძე

თ. იაშვილი ი. ჩიბიროვი გ. ასკურავა ი. ჭანტურიძე გ. ხაზარაძე

საკონკურსო აპარატის კომისიის წევრი: ე. ხარაიშვილი

დღის წესრიგი:

საქართველოს ეროვნული არქივის (გათბობის სისტემის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის საკონკურსო განცხადების (თანდართული დოკუმენტებით) განხილვა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის გ. ასკურავას ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისიის წევრებს გადაეცათ საკონკურსო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული საკონკურსო განცხადება და პირობები.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო პირობები მისაღებია.

დაადგინეს:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის $10^2$ მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი საკონკურსო პირობები.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა თანდართული დოკუმენტებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და საკონკურსო პირობები დანართის სახით თან დაერთოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს.

სხდომის თავმჯდომარე – ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი – თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი – გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი – ი.ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი – ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი – გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი – ე.ხარაიშვილი

**საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით**
**კომისიის სხდომის (უ.კ. 1114) ოქმი # 02**

ქ. თბილისი „04“ „03“ 2014 წ.

საკონკურსო კომისიის წევრები:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე _ ს. ლონდარიძე

**თ. იაშვილი** **ი. ჩიბიროვი** **გ. ასკურავა** **ი. ჭანტურიძე** **გ. ხაზარაძე**

**საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი: ე . ხარაიშვილი**

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1) გათბობის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის კონკურსში პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების გახსნა და განხილვა.
2. საკონკურსო კომისიის წევრებისა და აპარატის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებისა და წესების გაცნობა.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრის ი. ჩიბიროვის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსზე წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს ,,სითბო“-მ.

**განიხილეს:**

კომისიის წევრებმა შეამოწმეს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საგადახდო დავალება, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ წარმოდგენილი საგადახდო დავალება სრულად არ შეიცავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ: აღნიშნულ საგადახდო დავალებაში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

აქედან გამომდინარე, შპს ,,სითბო“-ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას მიეცეს დისკვალიფიკაცია, თანახმად შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტისა.

**დაადგინეს:**

1. შპს „სითბო“-ს საკონკურსო წინადადებას მიენიჭოს დისკვალიფიკაცია.
2. **საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი (უ.კ. 1114)** ჩაითვალოს უარყოფითი შედეგით დასრულებულად.
3. საკონკურსო კომისიის ოქმი გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurment.gov.ge - ის მეშვეობით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი ,,კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ე.ხარაიშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2014 წლის 04 მარტი

საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის ყველა წევრი ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად **საქართველოს ეროვნული არქივის მიერ (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1) გათბობის სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების** კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით ჩატარებულ კონკურსზე (უ.კ 1114) მონაწილე პრეტენდენტთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში:

სხდომის თავმჯდომარე - ს. ლონდარიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - თ. იაშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ასკურავა

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჭანტურიძე

საკონკურსო კომისიის წევრი - ი. ჩიბიროვი

საკონკურსო კომისიის წევრი - გ. ხაზარაძე

სხდომის მდივანი - ე.ხარაიშვილი